

შპს „ეკოლუქსი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
1. კორპორატიული ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავლები	10
6. მიწოდების და მომსახურების ხარჯები.....	10
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	11
8. ძირითადი საშუალებები	11
9. მარაგები.....	12
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	12
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
13. სესხები.....	13
14. დაკავშირებული მხარეები.....	13
15. პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

შპს ეკოლუქსი**მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	18,178	15,896
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(16,062)	(14,222)
საერთო მოგება		2116	1,674
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	6	(55)	(174)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,523)	(1,301)
საოპერაციო მოგება		538	199
ფინანსური ხარჯი		(41)	(43)
მოგება დაბეგვრამდე		497	156
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		497	156

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
დავით იაღანაშვილი

შპს ეკოლუქსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	320	450	479
არამატერიალური აქტივები		20	20	4
სულ გრძელვადიანი აქტივები		340	470	483
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	9	682	126	62
საგადასახადო აქტივი		25	17	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	2,115	2,598	1,022
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	248	398	77
სულ მიმდინარე აქტივები		3070	3,188	1,225
სულ აქტივები		3410	3,658	1,708
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1323	858	725
სულ კაპიტალი		1323	858	725
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	511	1,030	981
საგადასახადო ვალდებულებები				2
სესხები	13	1576	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2087	2,800	983
სულ ვალდებულებები		2087	2,800	983
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3410	3,658	1,708

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი

დავით იაღანაშვილი

შპს ეკოლუქსი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2019	-	725	725
სულ წლის სრული შემოსავალი	-	156	156
გაცემული დივიდენდი	-	(23)	(23)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	-	858	858
სულ წლის სრული შემოსავალი	-	497	497
გაცემული დივიდენდი	-	(32)	(32)
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	-	1323	1323

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი

დავით იაღანაშვილი

შპს ეკოლუქსი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2020	2019
პერიოდის მოგება/(ზარალი)		497	156
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	66	110
საპროცენტო ხარჯი		255	43
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		819	309
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:			
სავაჭო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		983	(1,576)
მარაგების ზრდა		(507)	(49)
სავაჭო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(519)	49
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		(8)	(19)
გადახდილი პროცენტი		(255)	(43)
წმინა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		513	(1,329)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(179)	(238)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(18)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		244	159
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		65	(97)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან :			
სესხების აღებით მიღებული თანხები		6,957	8,349
სესხების გადახდით გასული თანხები		(7,153)	(6,579)
გაცემული სესხი		(500)	-
დივიდენდის გაცემა		(32)	(23)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(728)	1,747
წმინდა ზრდა ფული და ფულის ეკვივალენტებში		(150)	321
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	398	77
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	248	398

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი

დავით იაღანაშვილი

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ეკოლუქსი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2013 წლის 29 მარტს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404984022.

ძირითადი საქმიანობა. შპს ეკოლუქსის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სურსათით, კერძოდ კი კვერცხით საბითუმო ვაჭრობა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, რ.ხომელელის ქ. კორ. 5 ა ბ. 28

კომპანიის მეწილეები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან: დავით იაღანაშვილი - 50%, ვეფხვია ჭაჭვაძე - 50%

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე. 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა მსს ფასს-ის გამოყენება. აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ეს ვერსია გამოყენებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - მსს ფასს საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე.

მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით ან განმარტებითი შენიშვნებით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „ეკოლუქსის“-ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან საქონლის მიყიდვის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **ადიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი ადიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის ადიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) ადიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან ადიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების ადიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების ადიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტები:

ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტები
ოფისის აღჭურვილობა	20%
ტრანსპორტი	20%

არამატერიალური აქტივები.

- **ადიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ფინანსური ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ადიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავლები

	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	18,122	15,833
შემოსავალი ადგილობრივი გადაზიდვიდან	2	23
შემოსავალი საერთაშორისო გადაზიდვიდან	42	23
სხვა სამეწარმეო შემოსავლები	12	17
ჯამი	18,178	15,896

6. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

	2020	2019
რეკლამის ხარჯი	6	146
გადაზიდვის და ტრანსპორტირების ხარჯები	41	22
ადგილობრივი გადაზიდვის და ტრანსპორტირების ხარჯები	8	6
საერთაშორისო		
ჯამი	55	174

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	786	887
ცვეთა და ამორტიზაცია	66	110
ბანკის მომსახურების საკომისიო	3	93
რემონტის ხარჯები	59	68
საიჯარო ქირა	86	53
დაზღვევის ხარჯები	9	18
კომუნალური ხარჯები	0	15
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	25	14
ოფისის ხარჯები	4	12
კომუნიკაციის ხარჯები	9	11
სხვა საერთო ხარჯები	219	20
ჯამი	1268	1,301

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	ტრანსპორტი	სულ
თვითღირებულება				
ნაშთი 1 იანვარი 2019	15	95	551	661
დამატება 2018	9	15	214	238
გაყიდვა 2018	-	-	(159)	(159)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	24	110	606	740
დამატება 2020	-	29	150	179
გასვლა 2020	-	(45)	(370)	(415)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	24	94	386	504
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2019	-	54	128	182
წლის დარიცხვა 2019	-	14	94	108
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019	-	68	222	290
წლის დარიცხვა 2020	-	8	58	66
წლის შემცირება 2020	-	(31)	(140)	(171)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019	-	45	140	185
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	15	41	423	479
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	24	42	384	450
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	24	49	246	319

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მარაგები	682	174	126
ნედლეული და მასალები	-	1	-
სულ	682	175	126

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	799	1806	963
გაცემული ავანსები	768	754	21
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	48	38	38
სულ	1615	2598	1022

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული	-	-	-
ფული ბანკში	248	398	77
სულ	248	398	77

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	510	1023	980
სხვა ვალდებულებები	1	7	1
სულ	5011	1030	981

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. სესხები

მსესხებელი	ხელშეკრულება	ვალუტა	ვადაიანობა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
	2447646-						
სს "თიბისი ბანკი"	10635617	ლარი	05-02-21	10.5%	1045	150	-
სს "საქართველოს ბანკი"	6446742	ლარი	05-05-21	12%	514	1,468	-
სს "საქართველოს ბანკი"	6446749	ლარი	05-11-20	12%	-	152	-
					1559	1,770	-

წარმოდგენილი სესხების თანხა კომპანიამ მთლიანად დაფარა 2020 წელს, თუმცა იმავე პერიოდში დამატებით აითვისა გარკვეული ოდენობის სესხი, იხილეთ შენიშვნა 15.

14. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის მიერ 2020 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეზე, კერძოდ, დირექტორზე გადახდილმა ხელფასმა შეადგინა 75000

15. პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდის გაცემა - 2020 წლის სექტემბრის მდგომარეობით დივიდენდის განაწილება არ მომხდარა

კოვიდ-19 - კოვიდ-19 ის პანდემია, რომელიც გავრცელდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე და რის შედეგადაც, ბიზნესის ყველა დარგი გამოწვევების წინაშე დადგა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ყველა ზომას იღებს პანდემიის უარყოფითი ეფექტების შესასუსტებლად, ხელმძღვანელობას არ შეუძლია ამჟამად წინასწარ განჭვრიტოს ამ ზომების შედეგები.

შპს ეკოლოქსი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	18,178	15,896
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(16,062)	(14,222)
საერთო მოგება		2116	1,674
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	6	(55)	(174)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,523)	(1,301)
საოპერაციო მოგება		538	199
ფინანსური ხარჯი		(41)	(43)
მოგება დაბეგვრამდე		497	156
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		497	156

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
დავით იაღანაშვილი



შპს ეკოლუქსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები 8	320	450	479
არამატერიალური აქტივები	20	20	4
სულ გრძელვადიანი აქტივები	340	470	483
მიმდინარე აქტივები			
მარაგები 9	682	126	62
საგადასახადო აქტივი	25	17	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 10	2,115	2,598	1,022
ფული და ფულის ეკვივალენტები 11	248	398	77
სულ მიმდინარე აქტივები	3070	3,188	1,225
სულ აქტივები	3410	3,658	1,708
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	1323	858	725
სულ კაპიტალი	1323	858	725
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 12	511	1,030	981
საგადასახადო ვალდებულებები			2
სესხები 13	1576	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2087	2,800	983
სულ ვალდებულებები	2087	2,800	983
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	3410	3,658	1,708

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი

დავით იაღანაშვილი



შპს ეკოლუქსი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის ჰითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2019	-	725	725
სულ წლის სრული შემოსავალი	-	156	156
გაცემული დივიდენდი	-	(23)	(23)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	-	858	858
სულ წლის სრული შემოსავალი	-	497	497
გაცემული დივიდენდი	-	(32)	(32)
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	-	1323	1323

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი

დავით იაღანაშვილი



შპს ეკოლუქსი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2020	2019
პერიოდის მოგება/(ზარალი)		497	156
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	66	110
საპროცენტო ხარჯი		255	43
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		819	309
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:			
სავაჭო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		983	(1,576)
მარაგების ზრდა		(507)	(49)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(519)	49
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		(8)	(19)
გადახდილი პროცენტი		(255)	(43)
წმინა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		513	(1,329)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(179)	(238)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(18)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		244	159
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა წალდი ფული		65	(97)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან :			
სესხების აღებით მიღებული თანხები		6,957	8,349
სესხების გადახდით გასული თანხები		(7,153)	(6,579)
გაცემული სესხი		(500)	-
დივიდენდის გაცემა		(32)	(23)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(728)	1,747
წმინდა ზრდა ფული და ფულის ეკვივალენტებში		(150)	321
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	398	77
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	248	398

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
დავით იაღანაშვილი

